

საერთაშორისო კონფერენცია „კვლევის ფიზიკური მეთოდები მედიცინაში“ 2011 წლის 27-29 ოქტომბერი, თბილისი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, 2011 წლის 27-29 ოქტომბერს ატარებენ საერთაშორისო კონფერენციას თემაზე „კვლევის ფიზიკური მეთოდები მედიცინაში“.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება მოხსენებები როგორც ფიზიკური მეთოდების (რენტგენული, ლაზერული, ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული, ულტრაბგერითი და სხვ.), აგრეთვე ამ მეთოდების გამოყენების შესახებ დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში მედიცინის სხვადასხვა მიმართულებით.

კონფერენციის მიზანია ხელი შეუწყოს კვლევის ფიზიკური მეთოდების დარგში მომუშავე მეცნიერთა და მედიცინის დარგის სპეციალისტების პარტნიორულ თანამშრომლობას და მათი გამოცდილების გაზიარებას ამ მეთოდთა განვითარების და კიდევ უფრო ფართოდ გამოყენების მიზნით.

კონფერენცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფიზიკოსებისა და მედიცინის დარგის სპეციალისტების ერთობლივ მოხსენებებს ნანოტექნოლოგიების შესაძლებლობების შესახებ მედიცინაში.

გათვალისწინებულია კონფერენციის მიერ რეკომენდაციების მიღება შემდგომი სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ (მაგალითად, აღნიშნული მიმართულებით კონფერენციის, სკოლის, ან სხვა ღონისძიების პერიოდულად ჩატარების შესახებ).

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა **2011 წლის 10 აგვისტომდე** უნდა გამოგზავნონ თეზისები, მოცულობით არა უმეტეს 1 გვერდისა (A4), გაფორმებული MS Word ფორმატში შრიფტით Times New Roman №11, შემდეგ მისამართზე: phys.med@gtu.ge.

2011 წლის 1 სექტემბრამდე კონფერენციისათვის შერჩეული მოხსენებების ავტორები მიიღებენ შესაბამის შეტყობინებას და კონფერენციაში მონაწილეობის მოწვევას.

გათვალისწინებულია მოხსენებების დაბეჭდვა კონფერენციის დაწყებამდე, ამიტომ, დაბეჭდვით გთხოვთ, წარმოადგინოთ მოხსენებების ელექტრონული ვერსია არა უგვიანეს **30 სექტემბრისა**. მოხსენებას უნდა ახლდეს ანოტაცია და საკვანძო სიტყვები **ინგლისურ ენაზე**. მოხსენებების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7 გვერდს, დაბეჭდილს **PDF ფორმატში** ზომით A4 (მინდვრები 2 სმ) ანოტაციის, საკვანძო სიტყვების, ნახაზების, გრაფიკების, ცხრილებისა და ლიტერატურის ჩათვლით.

დასაშვებია კონფერენციაში დაუსწრებლად მონაწილეობა. ამ შემთხვევაშიც ავტორის თეზისები და მოხსენებები გამოქვეყნდება კონფერენციის შრომების კრებულში, თუ ისინი დროულად იქნება მოწოდებული.

კონფერენციის მონაწილენი თავისუფლდებიან საორგანიზაციო შენატანებისგან.

კონფერენციის სამუშაო ენებია ქართული, ინგლისური და რუსული.

კონფერენციის ჩატარების დროს დაგეგმილია კულტურული ღონისძიებები.

კონფერენცია ჩატარდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (სტუ). მისამართი: თბილისი, 0175, მ. კოსტავას ქ. № 77.

საკონტაქტო ტელეფონები: (995 32) 236 5317; ან (+9955) 99 180 108 (რაფიელ ჩიქოვანი)
(995 32) 299 5767; ან (+9955) 58 447 655 (დევი ღარიბაშვილი)
(995 32) 263 0574; ან (+9955) 93 953 047 (ლალი ჩახვაშვილი)

გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში.

კონფერენციის მასალების და მასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობა შეიძლება შემდეგ საიტზე: <http://gtu.ge/კონფერენცია>.